მინდობილობა # 70/25

ქ.თბილისი

29.04.2025წ

წინამდებარე მინდობილობით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სელფი მობაილ", რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (ადგილსამყოფელი: ქ. თბილისი, ბამბის რიგი #8, საიდენტიფიკაციო ნომერი: 204450584; რეგისტრაციის ნომერი 06/4-1411; რეგისტრაციის თარიღი – 19 ნოემბერი 2003 წელი; მარეგისტრირებელი ორგანო: ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლო), მისი გენერალური დირექტორის როსტომ ტალახაძის სახით (პ.ნ: 01024050827), მოქმედი წესდების შესაბამისად, გასცემს მინდობილობას შპს „ენერჯი ქონსთრაქშენი"-ზე (ს.კ. 406266990), შპს „ენერჯი ქონსთრაქშენი"-ს დირექტორზე დავით გვაძაბიაზე (პ.ნ 19001091681), მოქმედი კანონმდებლობისა და შპს „სელფი მობაილ"-ის წესდების ფარგლებში, შპს „სელფი მობაილ"-ის სახელით განახორციელოს შემდეგი ქმედებანი:

წარმოადგინონ საზოგადოების ინტერესები სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო"-ში, ქ. თბილისის მერიაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ საქალაქო სამსახურში, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სამსახურში, საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიათა ადგილობრივ მმართველობათა და თვითმმართველობათა მუნიციპალიტეტებში, გამგეობაში, მერიაში, რისთვისაც უფლება აქვთ შეავსონ და ხელი მოაწერონ საჭირო განცხადებებს, მიიღონ მოწმობები/შეტყობინებები, სხვადასხვა დოკუმენტები და ინფორმაცია, მიიღონ მონაწილეობა განხილვებში, ადმინისტრაციული დავების განხილვაში, შეათანხმონ პროექტები, ჩააბარონ/აიღონ სამშენებლო სანებართვო დოკუმენტაცია, ჩაიბარონ ნებისმიერი დოკუმენტაცია, აგრეთვე განახორციელონ სხვა ქმედებები, რაც დაკავშირებულია მოცემული დავალების შესრულებასთან.

წინამდებარე მინდობილობა გაცემულია 1 წლის ვადით.

ამ მინდობილობით დადგენილი უფლებამოსილებები არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს.

შპს „სელფი მობაილ"-ის
გენერალური დირექტორი

როსტომ ტალახაძე